№ 247
კვირა, 20 ნოემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 247
კვირა, 20 ნოემბერი 1894

გაზეთი ღ. ჱს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 ნოემბერს.**

**„ივერია“**
გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტფილისი,**
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

**ქუთაისი** 19 ნოემბერი. ბათუმის ხმოსნების არჩევანები გუშინ დამტკიცებულ იქნა.

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ნოემბერი.

**ვარცინი.** დღეს დილით გარდაიცვალა თავადის ბისმარკის მეუღლე. ჯერ არ იციან, როდის დაკრძალავენ განსვენებულის გვამს.

**კოპენჰაგენი.** ხოდიხანის ბრძანებით, ლი-ხუნ-ჩანგს ყოველივე ნაბოძები ჯილდო წაერთვა, თუმცა, ნება მიეცა თავისს თანამდებობაზედვე დარჩეს.

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ქართულ წარმოდგენების რეპეტიციები დაიწყება. დასი უკვე შემდგარია.

*** სპარსეთში, სპარსელ სომეხთათვის სომხის სამღვდელოებას საკულიერო კანსისტორია დაუარსებიათ.

*** 10 გიორგობისთვე, ყველაზედ დიდი დღესასწაული ბოლნისის ხეობის წმიდა გიორგის არისა და ამ დღეს დიდძალი ხალხი დასწრებია ბოლნისობას. დღეს ბოლნისის ძველი ტაძარი დაქცეულია და ახალი სომხებს ეკუთვნის, თუმცა ქართველი ხალხიც მრავლად დადის.

*** სომხური წიგნების გამომცემელ საზოგადოებას ანტონ რუბინშტეინის ქვრივისთვის სამძიმრის დეპეშა გაუგზავნია. ამ საზოგადოებას რუბინშტეინმა ერთ ერთ თავისს კონცერტის შემოსავალი 1,000 მანეთი შესწირა ტფილისში ყოფნის დროს.

*** როგორც გვაცნობებენ, საქართველოს ისტორია, შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ, ხელმეორედ დაიბეჭდება და მალე გამოვა.

*** ამას წინად ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რომ ზ. ჭიჭინაძემ 500-მდე ისტორიული მასალა ჩამოიტანა. ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ იგივე ამ ერთის თვის წინად წერა-კითხვის საზოგადოების მინდობილობით ხელ-მეორედ წასულა და ერთი იმდენი მასალები კიდევ შეუკრებია. ეს მასალები რამდენსამე ტომად გამოვა და აკინძულ იქმნება, რომ ეს ცნობები არ დაიკარგოს. მასალები გაცალკევებულებია და ყველა წიგნს გარედგან ეწერება, რა მასალასაც შეიცავს.

*** ტფილისში იმყოფება ამ ჟამად საიმპერატორო თეატრების შესანიშნავი არტისტი ა. ი. იუჟინი თავ. სუმბათაშვილი, რომელიც რამდენსამე ხანს დაჰყოფს აქ თავისს მამულში.

*** 17 ნოემბერს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ, მიწის-ძვრა უგრძვნიათ შემდეგ ადგილებშიაც: სურამსა, ხაშურს, ქარელს, წვერსა და გორში.

*** 17 ნოემბერს ყოფილმა მიწის ძვრამ, როგორც ეტყობა, ტფილისელებისთვის კვალ დაუმჩნევლად არ ჩაიარა. გუში წინ ქალაქის გამგეობაში თხოვნები შეუტანიათ ზოგიერთს სახლის პატრონებს, რომელნიც სთხოვენ გამგეობას, რომ დანიშნოს ტეხნიკოსები სახლების დასათვალიერებლად, რადგანაც ქალაქის ზოგიერთს ნაწილში მიწის-ძვრის გამო სახლის კედლები დახეთქილა და შენობები დაზიანებულა და ახლა ჰსურთ გაიგონ რამდენად საშიშია მცხოვრებლებისათვის დაზიანებულ სახლებში დარჩენა.

კავკასიის დედათა ინსტიტუტის შენობის იმ ოთახში, სადაც საავადმყოფოა მოთავსებული, მიწის ძვრის გამო კედელი გარღვეულა. ჯერ არ იციან, რამდენად საშიშია ეს კედელი.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ტფილისში გამართოს სატრანსპორტო სადგური და ამ სადგურის ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაავალა საბჭოს ხმოსანს ბ-ნს იაკიმოვს.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებამ ჩვენი ცხენის რკინის გზების ზედამხედველად დანიშნა მეთერთმეტე განყოფილების მზრუნველი გ. მ. პავლოვი, რომელიც ამ დღეებში მოიწვევს ბეითალს და დაათვალიერებს ცხენის რკინის გზის „პარკებს“ და აუკრძალავს ავადმყოფ ცხენების ვაგონებში შებმას.

*** ქ. დუშეთი. დღეს, 17 ნოემბერს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ აქ მიწის ძვრა მოხდა. მიწის ძვრამ დიდხანს არ გასტანა სულ $1^1/_2$ წამს. მაგრამ ამისთანა ძლიერი მიწის ძვრა აქ ბევრს არ ახსოვს. ხალხი საშინლად შეშინდა: ვინც შინ იყო, სცდილობდნენ გარედ გამოსვლას. დიდი არეულ—დარეულობა მოხდა უფრო იქ, სადაც ბლომად იყო ხალხი შეყრილი, როგორც სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. აქ ერთი ერთმანეთს აღარ აცდიდნენ გარედ გამოსვლასა. და მერმე, რომ შეგვეხედნათ იმათს სამუშაო კაბინეთებსა და ოთახებში, სწორედ მოოხრებულს სოდომს მოგაგონებდათ, ისე იყო თურმე აქსკამები მიყრილ-მოყრილი ახლად აშენებულს საჯარო ყაზარმებს აქაიქა კედლები დაუსკდა, აგრეთვე დუშეთის სკოლასაც, რომელიც უიმისოდაც საშიში იყო სიძველის გამო. უბედურება არა მომხდარა რა.

*** ქუთაისიდგან მოგვივიდა ერთი ვრცელი კორესპონდენცია, რომელშიაც კორესპონდენტი საშინლად უჩივის ბ-ნ კოკოჩავას აბანოს. მეტისმეტად უხერხულად არის თურმე მოწყობილი ეს აბანო. წყალი ცივია და ტანისამოსის გასახდელ ოთახში ისე ცივა, თითქოს საყინულე იყოსო. შეიძლება იმასა ჰფიქრობდეს ბ-ნი კოკოჩავა, რომ ქუთაისში ერთი აბანოს მეტი არ არის და მეტი რა ღონე აქვთ, რომ ჩემს აბანოში არ მოვიდნენო. თუ ასეა სამწუხაროა არისო დასძენს კორესპონდენტი.

*** ქუთაისი: ამას წინად ჩვენში დიდი ქარები იყო. ერთის კვირის განმავლობაში კაცს ქუჩაზედ არ გაევლებოდა. ჩადგა ქარი და ახლა წვიმები და სიცივეები დაიწყო. მხოლოდ ეს ორი დღეა გამოიდარა და თბილმა დღეებმა გაყინული ძვლები გაგვითბო.

*** გ. მ. თუმანიშვილი, რომელსაც ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ მიანდო შეადგინოს მოხსენება ერობის დაწესებულებათა შემოღების შესახებ ჩვენში, როგორც ამბობს გაზეთი „ნოვ. ობოზ.“, ამ თვის გასულს დაამთავრებს თურმე მასალების შეკრებას და წლის გასულს-კი განზრახვა აქვს ბ-ნს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს წარუდგინოს ეს მოხსენება.

## დამაკვირდი

უფრო იმ ჭეშმარიტებას მოვისმენთ ხოლმე უგუნებოდ, რომლის ცოდნაც ჩვენთვის დიდად გამოსადეგია.

ლაროშფუკო

**

არც ერთს ჭეშმარიტს ბრძენს ჯერ არ დანანებია თავისი სიბავშვე.

სვიფტი

**

უბედურების ატანის უნარი უფრო გვაქვს, ვიდრე ბედნიერების დროს ზომიერად და სწორად ცხოვრებისა.

ჰაუგი.

## ნაკვესი

ჩამოვარდა ლაპარაკი: ეპასუხოს „ივერიამ“ თუ არა „კვალის“ დაუსრულებელს პოლემიკურს წერილებს. ერთმა გულმტკივნეულად შენიშნა: „თუ ღმერთი გწამთ არ გაუხუმრდეთ, თორემ გაზეთი იძულებულ იქნება დაიკეტოს, რადგან სხვა მასალა რომ ჰქონდეს გაზეთს „კვალს“, პოლემიკურ წერილების მეტს სხვასაც დაჰბეჭდიდაო.

## ნაწყვეტები

მდიდარსა ვხედავ ღარიბად,
ღარიბი გამდიდრებულა,
მტყუანსა ვხედავ მართლადა,
მართალი გამტყუნებულა...
იმას არ ვუქებ ქველობას,
ვინც ცარცვით გამდიდრებულა,
ვაქებ სამშობლოს მოყვარეს,
მოძმისთვის ტანჯულ ვნებულა.

მ. კ—ძე

## კორესპონდენცია

**ქ. გორი,** 14 ნოემბერი. გუშინ აკურთხეს აქ სამრევლო სკოლა, რომელიც აქაურის მართლ-მადიდებელ ტაძრის ხარჯზედ იქმნა დაარსებული. სკოლაში მიიღებიან ყველა ეროვნების ყმაწვილები. მამათა და დედათა სქესისანი, ამიტომაც სკოლის ოთახი კურთხევის დროს ისე გაივსო ხალხით, რომ ალაგი ძნელად მოიძებნებოდა. დამსწრეთა მომეტებულ ნაწილს მოსწავლე ყმაწვილების მშობლები შეადგენდნენ და ბევრს დედას სიხარულით ცრემლი მოსდიოდა თვალებში. როგორც ეტყობა, მოსწავლეთა რიცხვი ამ მოკლე ხანში გამრავლდება, რადგანაც სკოლის მზრუნველები უკვე შეუდგნენ ახალის შენობის კეთებას. ეჭვი არ არის, ეს სკოლა დიდად სასარგებლო იქნება იმ სომხის ყმაწვილებისთვისაც, რომელთა სამშობლო ენა ქართულია და არა სომხური, რადგან სომხურად «ინჩიც» არ იციან და ქართულად-კი აკვნიდგანვე ეჩვევიან ლაპარაკს. ამიერიდგან ამათი შეძლება მიეცემათ პირველ-დაწყებითი სწავლა იმ ენაზედ მიიღონ, რომელიც ესმით.

გორის საქალაქო სასწავლებელშიაც ასწავლიან სომხურს ენას, მაგრამ ამ სწავლით არა გამოდის-რა, რადგან ბავშვებს ძალიან უჭირდებათ უცნობის ენის შესწავლა და ბევრნი თავსაც-კი ანებებენ. ამ საგანს თვით ქალაქის სასწავლებლის მასწავლებლებმაც მიაქციეს ყურადღება და ბევრჯელ ჰქონიათ კიდეც მსჯელობა ურთიერთ შორის სამოქალაქო და სომხის სასწავლებლის მასწავლებლებს. ყოველთვის იმ აზრს დასდგომიან ეს მასწავლებელნი, რომ აქაურ სომხურს სასწავლებელში, საქმის წინ მსვლელობისათვის, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ბავშვებს სწავლა ქართულს ენაზედ დავუწყებინოთო. სომხურის სასწავლებლის ინსპექტორი. გ. ხითაროვი ნათლად ჰხედავდა მისდა რწმუნებულ სასწავლებლის ამ ნაკლულევანებას, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო შიშით ხმას ვერ იღებდა. მხოლოდ ბოლოს დროს, როდესაც ხითაროვმა ველარ შესძლო ღალატი თავისის მოვალეობისა და ქართულის ენით ხელმძღვანელობდა სწავლების დროს, მაშინ იგი სასწავლებლის მავნედ იცნეს და წარსულ სექტემბერში დაითხოვეს სასწავლებლიდგან, რომელშიაც თხუთმეტის წლის განმავლობაში ერთგულად ასრულებდა ინსპექტორობის თანამდებობას.

წილკნელი

**დუშეთი.** დღეს 15 ნოემბერს, აქ მოვიდა გუბერნიის ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი, რომელიც გამოგზავნილია დუშეთის მაზრაში ხოლერის გაჩენის გამო.

ბ-ნი მაჭავარიანი სწრაფლად შეუდგა დუშეთის დასუფთავებასა; დაიარა დუქნები, ფურნეები, საყასბოები და სხ... ყველა ესე როგორც მოსალოდნელიც იყო, უსუფთაოდ და უწესო მდგომარეობაში ჰპოვა; ერთს ადგილას ფეხის ადგილი და საყასბო ერთად მოთავსებული აღმოაჩინა და იძულებული იყო ყველა მისი მოწყობილება დაეწვა.

ურიგო არ იქმნებოდა, თუ წელიწადში ერთხელ არა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც, ასევე დაივლიდეს დუშეთს ბ-ნი დუშეთის ბოქაულიცა და გასინჯავდეს, რამდენად ასრულებენ დუშეთის მოვაჭრენი და მკვიდრნი სასანიტარო წესთა უამისოდ, ღმერთი, რჯული, სხვაგნიდანაც რომ არ მოვიდნენ, ადგილობრივ გაჩნდებიან უსუფთაობისა გამო ის რაღაც ხოლერის ბაცილებია. თვეში ორჯერ, სამჯერაც რომ დაიარონ, არც ეს იქნებოდა დიდი ჯაფა; დუშეთი არც ისეთი დიდი ქალაქია, რომ იმისი დათვალიერება მართლა დიდს შრომასა და ჯაფასა თხოულობდეს. ერთს ოხუნჯსა ჰკით-

ხეს დუშეთის შესახებ, რამოდენა ქალაქია დუშეთიო? შუა ქალაქში რომ ცხვირი დაიცემინო, ქალაქის ყველა ნაპირებში ძლივს გაიგონებენ იმ სიდიდეაო, უპასუხა ამ ხუმარამ. თუმცა ეს, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია, მაგრამ არც ძალიან შორს არის ნამდვილისაგან. სირცხვილია, რომ ამ ერთი ბეწო ქალაქს, რომელიც ბევრ სოფელზედაც-კი პატარაა, ვერ მოუარონ და სუფთად ვერ შეინახონ.

გარეშე მაყურებელი

---

**საჩხერე.** წარსულს თვეს საჩხერეში მეტად უსიამოვნო საქმე მოხდა: მამასახლისი, იასაული და სასამართლოს ბოქაული კინაღამ დაჰხოცეს ურიებმა. აღმასრულებელ ფურცელის ძალით ერთმა ურიამ წაიყვანა ბოქაული მეორე ურიასთან იმის ქონების ასაწერად. ბოქაული მივიდა ურიასთან და თან იახლა მამასახლისი და იასაული. ბოქაულმა უთხრა ურიას, გაეღო კარი: შენი მოძრავი ქონება უნდა ავწეროო. სახლში შეშვების ნაცვლად, ურიამ შემოუტია ბოქაულს ჯოხით და გულზედ ხელი ჰკრა. ბოქაული დაბრუნდა უკან, იქვე მახლობლად დადგა და ოქმის წერა დაიწყო, მამასახლის უთხრა, გამოართვით ის ჯოხიო, რომლითაც მემუქრებოდაო.

მამასახლისი მივიდა თავისს იასაულით ურიასთან და სთხოვა ჯოხი. ურიამ დასთხლიშა თავში ჯოხი მამასახლისს და თავ-გატეხილი დასცა ძირს. მეორედ რომ უნდა დაერტყა მაშინ წაეტანა იასაული საშველად, მაგრამ იმასაც დაუშინა ურიამ კეტი და ისიც თავ-გახეთქილი დაეცა ძირს. ამ დროს შეცვივდა ხალხი და მამასახლისიცა და იასაულიც კარში ცოცხალ-მკვდარი გამოიტანეს. ორივენი ამ ჟამად მძიმედ არიან ავად. ამ საქმის გამო ოთხი ურიაა დაპატიმრებული და ქუთაისს გაგზავნილი, საიდგანაც თავდებობით განათავისუფლეს.

X.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მოგვყავს კიდევ ერთის ინგლისური გაზეთის აზრი Miss მარჯორი ვარდროპის მიერ ნათარგმნი ქართულს არაკების წიგნის შესახებ.

„Miss მარჯორი ვარდროპსაო, სწერს გაზეთი: მშვენიერი ენა აქვს, მასი ენა სწორედ ზღაპრებისთვის არის მოწყობილი. იგი სწერს ინგლისურის მველის აღთქმის ენით, მაგრამ არა ჰხმარობს იმ ფრაზებს, რომელნიც საღმრთო წერილშია, რადგანაც ბევრს აწყენებოდა იმ ფრაზების ამოკითხვა ზღაპარში, რომელიც საღმრთო წერილშია. ზღაპრები ყველა თანასწორი ღირსების არ არის, უმეტესი ნაწილი ამ ზღაპრებისა ჩვენთვის მთლად ახალია, ხოლო რამდენიმე-კი იგივე ჩვენი სიყმაწვილის მეგობარია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ Miss ვარდროპი ამას არ იკმარებს და გაგვაცნობს უფრო ღირს შესანიშნავს ქართველთა მწერლობიდგან.

ჩვენის აზრით, საუკეთესო ზღაპრებია: „მეფის ძე და გმელი“, „ორი ძმა“, „ასფურცელა“, „ჭრიჭინა და ჭინჭველა“. ეს უცნაბსნელი ჰგავს ჩვენ ზღაპარს „The House that Jack Built („სახლი, რომელიც ჯეკმა ააშენა“), თუმცა ქართული ზღაპარი სჯობია. საქართველო სათცნებო ქვეყანას გავს და მის ყოველ დღიურ ცხოვრების წვრილმანს ჩვენთვის რომანული ხასიათი აქვს. თარგმანის ენა ჰხდის სასიამოვნოდ ზღაპრებს ყველასათვის რომლსაც-კი უყვარს ლიტერატურა ბავშვისა.

---

## რუსეთის ცხოვრება

—

საშინაო საქმეთა სამინისტროში განუძრახავთ, როგორც გაზ. „Рус. Жинь“ ამბობს, გადასინჯონ ახალი საქალაქო დებულება. ამ ახალ დებულებას ბევრი ნაკლი ჰქონდა შემჩნეული და ეხლა, როგორც ეტყობათ, მისი გაუმჯობესობა უნდათ. სამინისტრო ყველა გუბერნატორისთვის გაუგზავნია საყოველთაოდ ბრძანება შემატყობინეთ რა-და-რა ნაკლულევანება შეამჩნიეთ ახალს საქალაქო დებულებასაო. იმედიაო, ამბობს პეტერბურგელი გაზეთი, ბ-ნნი გუბერნატორები სრულის ყურადღებით მოეკიდებიან ამ საქმეს და რომ უფრო ნაყოფიერად გასინჯონ იგი მოიმხრობენ ადგილობრივ მოღვაწეთა, რომელნიც დიდ სამსახურს გაუწევენ ამ საქმეშიო.

---

## საერო განათლება ინგლისში

—

ამ საუკუნის დასაწყისიდან 1837 წლამდე მთავრობა ინგლისში სრულიად არ აქცევდა ყურადღებას ხალხში განათლების გავრცელებას. ამის ზრუნვაში მანამდე სამი კერძო საზოგადოება იყო. განათლების საქმე ძალიან ცუდად მიდიოდა, სკოლებს შეძლება არა ჰქონდათ და პარლამენტმაც დრო გამოშვებით დაუწყო ფულის ძლევა მხოლოდ იმ სკოლებს, სადაც სწავლა უფრო სასურველად მიდიოდა, რაც მოსწავლეთა გამოცდის დროს გამოჩნდებოდა ხოლმე. სასწავლებლების ზედამხედველობა რომ ჰქონდათ 1839 წელს, სამოსწავლო ინსპექტორები დანიშნეს. 1861 წელს მოსწავლეთა რიცხვი სულ 700,000 იყო და მთავრობა ჰხარჯავდა განათლებაზედ 840,000 გირვ. სტერლ. (დაახლოვებით რვა მილიონ მანეთზედ მეტს) სასწავლებლების გავრცელების საქმე მეტად მძიმედ მიდიოდა და სამღვდელოებაც, რომელსაც ებარა განათლების მზრუნველობა, არ აქცევდა ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას. მაგრამ ამათ ბევრი არ მოეთხოვებოდათ, რადგან თავიანთის მოვალეობის აღსრულებაში ძალიან იყვნენ გართულნი.

1860 წლიდგან 1870 წლამდე საზოგადოება დარწმუნდა, რომ საქმის ამ რიგად მმართვა შეუძლებელი იყო და ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ 1870 წელს გამოიცა ფორსტერის აქტი, რომლის ძალითაც სავალდებულო გახდა, ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობას ძალ-დატანებითაც-კი ყველასათვის განათლების მიღება. როდესაც თავისს წინადადებას იცავდა ერთ ერთ მიტინგზედ ბრადფორდში, ფორსტერმა სთქვა: „მე მივმართავ ინგლისის ერს და ვსთხოვ გვიშველოს მან სავალდებულო განათლება შემოვიღოთ, ამ გზით თავიდგან ავიცდენთ იმ გარემოებას, რომ ეხლა ინგლისის მოზარდი თაობა უზრუნველად არის მიტოვებული; ყველამ იცის, რა მავნებელია ეს ინგლისის წარმატებისთვის და რა რიგად უთხრის იგი ძირს ქვეყნის კეთილდღეობასა“. მალე, ამის შემდეგ, 1876 წ. გამოიცა კანონი, რომელიც უფლებას ანიჭებდა სამოსწავლო საზოგადოებათა თავისს სურვილით დაედგინათ აქა თუ იქ სავალდებულო განათლება, უპარლამენტოდაც; 1880 წლის კანონმა სამუდამოდ დაადგინა სავალდებულო განათლება მთელს ინგლისში და 1891 წლის კანონმაკი ეს განათლება უსასყიდლოდ გახადა ყველასათვის.

1891 წლის კანონის ძალით ბავშვს მხოლოდ სამ შემთხვევაში ეძლევა უფლება სასწავლებელში არ იარებოდეს: 1) თუ დამტკიცდება, რომ ბავშვს შინვე ასწავლიან ისე როგორც სასწავლებელში; 2) თუ ბავშვი სნეულია და სხვა მიზეზებისა გამოც ვერ ივლის სასწავლებლებში; ამ მიზეზთა შორის მშობლების სიღარიბე არ არის ჩათვლილი და 3) თუ სკოლა ისე შორს არის, რომ ყმაწვილისთვის ძნელია იმ მანძილზედ სიარული. რაკი შენიშნავენ, რომ რომელიმე ყმაწვილი სასწავლებელში არ დადის, სამოსწავლო კომიტეტი იბარებს მშობლებს და მიზეზების დასახელებასა სთხოვს. თუ შეატყეს, რომ ბავშვი ამის შემდეგაც არ დადის, მაშინ მშობლებს ჯარიმას ადებენ. ზემოხსენებული კანონების დადგენამ ხელი არ შეუშალა კერძო საზოგადოებათა, კვლავ დაეარსებინათ სასწავლებლები. ამ საზოგადოებათ მიენიჭათ უფლება თავისის სასწავლებლების დაარსებისა, მხოლოდ ამიერიდგან მთავრობა თვალ-ყურსადევნებს იმ სასწავლებლებს და რაც-კი ნაკლს შეამჩნევს, თავისის ღონით და განკარგულებით აცილებს ამ ნაკლს. ამ შემთხვევებშიკი აფუძნებს სამოსწავლო კომიტეტს, რომელთა წევრთ ადგილობრივი საზოგადოება ირჩევს და რომელიც მთავრობის შემწეობით მოქმედობს. 20 წლის განმავლობაში, მას აქედ, რაც ფორსტერის აქტი გამოქვეყნდა, მთავრობამ ასეთი წესი ორიათას ქალაქსა ბ მრევლში შემოიღო. ფულით შემწეობას მთავრობა იმის მიხედვით იძლევა, რამდენი მოსიარულე ჰყავს სასწავლებლებს და ეგზამენები რას დაანახვებს. ეს შემწეობა ორთა-შუა რიცხვით თითო მოსწავლეზედ 12—14 შილინგამდეა და ხან 17-მდეც ადის. ამავე დროს, რომ უფრო გაუადვილონ ყველას უსასყიდლოდ სწავლის შეძენა, მთავრობა თითო მოსწავლეზედ 10 შილინგს კიდევ ჰხარჯავს, ასე რომ თითო მოსწავლე მთავრობას უჯდება სულ 1 გირვანქამდე, ე. ი. ერთ თუმნამდე. დანაშთენი წვრილმანი ხარჯი-კი სასწავლებელმა თითონ უნდა იკისროს და ეს ხარჯი ერთს მესამედს შეადგენს იმისას, რაც საზოგადოდ უნდა სასწავლებელს.

1893 წელს 20,000 სასწავლებელთა შორის უსასყიდლოდ 15,000-ში ასწავლიდნენ. მთავრობას მაშინ სულ $3^1/_2$ მილიონი გირვანქა სტერლინგი დაეხარჯა. მაინც-და-მაინც კერძო სასწავლებლებში უფრო მეტი ყმაწვილები სწავლობენ. ყველა-კი იმას ამტკიცებს, რომ საზოგადოებათა სასწავლებლები უფრო კარგ დონეზედ არის დაყენებული, ვიდრე კერძო სასწავლებლიო. ესეც უნდა იყოს, რადგან საზოგადოების სასწავლებელში სწავლა აუცილებლად უსასყიდლოა, მასწავლებლები მეტს ჯამაგირს იღებენ, ქონება მეტი აქვს, სასწავლებლის ზედამხედველად ყველა წოდების წარმომადგენელ ქალებსაც მიიწვევენ, სამოსწავლო ზედამხედველ კომიტეტში უსათუოდ არა ნაკლებ ორის ქალისა უნდა იყოს წევრად. მასწავლებლის ჯამაგირი საზოგადოების სასოფლო სასწავლებელში 100 გირვანქა სტ. (100 თუმანი), კერძოში-კი 48—80 გირ. ს. (480—800 მან.) ქალებს ყველგან ჯამაგირი ცოტა ნაკლები აქვთ; ქალთა-მასწავლებელთა რიცხვი დღითიდღე ჰმატულობს; 1869 წლიდგან დაწყებული იმათმა რიცხვმა 169%-დე იმატა.

პირველ დაწყებით სასწავლებელში ბავშვი 5 წლიდგან 13 წლამდე სწავლობს. ყოველ წელს ეგზამენების პროგრამმა უფრო და უფრო ფართოვდება. ასწავლიან კითხვას, წერას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ბუნების და მოქალაქობრივ ისტორიასა. ყველაზედ ღირს-შესანიშნავი და წამბაძავი სადამოობით დანიშნული კურსებია, ეს კურსები იმათთვის იმართება, ვისაც პირველ დაწყებითი სწავლა უკვე მიღებული აქვს. აქ სულ იმასა სცდილობენ, რომ მოსწავლეს მოქალაქობრივნი გრძნობანი ჩაუნერგონ. აი იმათ რას ასწავლიან: რა მნიშვნელობა აქვს უმაღლესს მთავრობას, როგორ უნდა უყურებდეს ყოველი კაცი უმაღლესსა და ადგილობრივს მთავრობას, ინგლისის სახელმწიფოს მდგომარეობა, მეწველობა, საზოგადო ცხვრების მიმდინარეობა და მოქალაქობრივნი მოთხოვნილებანი. სამოსწავლო კომიტეტი დიდ მხნეობას და საქმის კარგა წაყვანის სურვილს იჩენს და სულ იმისს ცდაშია, რომ სწავლა ყველასთვის უსასყიდლო და სავალდებულო გაჰხადონ.

---

## რა არის ყველაზედ უკეთესი ამ ქვეყნად?

იგავი ლ. ბურგერისა.

ერთს დროს სცხოვრობდა მოხუცი მეფე; ჰყავდა სამი შვილი როდესც თმა გაუჭაღარავდა, სხეული დაუსუსტდა და სიკვდილის ჟამიც მოუახლოვდა, გაგზავნა თავისი სამი შვილი მთელის ქვეყნის მოსასვლელად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთის წლის შემდეგ დაბრუნებულიყვნენ და შეეტყობინებინათ მისთვის: რა არის უკეთესი ქვეყნიერებაზედ. ერთის წლის შემდეგ მეფემ შეჰკრიბა მთელი მედარბაზეთა დასი, რათა მოესმინ:თ ბატონიშვილების აზრი.

აი, წარმოსდგა წინ უფროსი ვაჟი. თვალები ზეგარდამო შთაგონებით უბრწყინავდა; კი არა ლაპარაკობდა, ჰქუხდა და სიტყვები გამანადგურებელ ელვასავით აღმოჰქროდა იმის პირიდგან.

— საუკეთესო ქვეყნიერებაზედ თავისუფლებაა! დაიწყო მან, ყველგან, სადაც კი მომიხდა ყოფნა, მარტო მონებსა ვხედავდი, რომელნიც კბილების ღ-ჭენით ატარებდნენ მონობის ბორკილს და ოხვრა-ვაებით სწყევლიდნენ თავიანთ თავს, ჰკრულავდნენ მშობლებსა, რად დაგვბადეო ამ ტანჯვისათვი-საო და თავისს შვილებსაც-კი, თავისუფლებას მოკლებულთა და სიღარიბეში ჩამრჩვალთ. მონობაა სუყოველგან: მონობა ფულისა, მონობა ვნებისა... ამიტომ თავისუფლებაა ყველაზედ უკეთესი: იგი ანთავისუფლებს მონას ცრუმორწმუნოების დამპალ ხავსისაგან. უცოდინარობისა, ზნეობით დაცემისაგან და აამაღლებს შუქ-მოსილ იდეალებამდის. იგი ანათლებს კაცს და ანადგურებს გარყვნილ ვნებათა ღელვას!

დარბაისლებმა შიშითა და გაკვირვებით ჩაახველეს, რა მოისმინეს აზრი ბატონიშვილისა. მეფემ-კი დაფიქრებით გაიქნია თავი და წარმოსთქვა:

— თავისუფლება დიაღაც დიდი და მაღალი საგანია, მაგრამ სადა აქვს საზღვარი? ბრბოს რომ თავისუფლება მისცე, იგი, იმის ნაცვლად, რომ თითონ „ამაღლდეს“ თავისუფლებამდის, თვით თავისუფლებას თავისთავამდე „დაადაბლებს“ სრულიად გაანადგურებს იმ ყორეს, რომელიც კაცს მხეცისაგან ჰყოფს და ჩაიხჩვება გარყვნილ ვნებათა წუმპეში და ვაი მას, ვინც წინ აღუდგება! თავისუფლება მშვენიერი რამ არის, მაგრამ საუკეთესო-კი არ დაერქმის!

შემდეგ დაიწყო მეორე შვილმა:

— საუკეთესო ქვეყანაზედ ჭეშმარიტებაა! ყველგან, სადაც-კი კაცი სცხოვრობს, იტანჯება სიცრუით მოწამლულ ჰაერისაგან და კაცობრიობა იხრჩობა იმის დამღუპველ ჭაობებში, ჩვენ ვცრუობთ ჩვენის თავისა და სხვათა შესახებაც-კი ჩვენის კერძო სარგებლობისა და ვერცხლის მოყვარეობისა და ეს თვისება სიცრუის თქმისა დაბადებიდგანვე თან დაგვყვება ხოლმე. ამიტომ შორს ჩვენგან ყოველ გვარ სიყალბევ, შორს ამა ქვეყნიდან უმართლობავ! ის გვირჩევნია, სიმართლემ სიკვდილის კარამდის მიგვიყვანოს, ვიდრე სიცრუემ სიმდიდრემდისა და სიკეთემდის. სიცრუე აძინებს ჩვენს სინიდისს, აცლის მას ღონეს, ასუსტებს, ასე რომ მისთვის ძნელი-ღაა ჭეშმარიტების ძალის ატანა. მხოლოდ მკაცრი ბუნების წესთა სასტიკი დაცვა, რადგანც ბუნება ჭეშმარიტებათა წყაროა, აღგვამაღლებს ჩვენ და თავისუფლებასაც მოგვანიჭებს. ყველაზედ უკეთესი ამ ქვეყნად ჭეშმარიტებაა!

დარბაისლებმა კვლავ გაკვირვებით ჩაახველეს, თუმცა წინანდელზე-კი ნაკლებადა, მაგრამ მეფემ დაიწყო:

— ოჰ, ჩემო შვილო, ჭეშმარიტება ყოველ მხრივ მჭრელი ხმალია: იგი სჭრის იმასაც ვინც-კი იმის გამომსადეგარია. ეჭვი არ არის, ტალახი ჭეშმარიტად არსებობს, მაგრამ არსებობს ის ყვავილიც, რომელიც ამ ტალახიდგან აღმოსცენდება, ამიტომაც დეე დარჩეს ჩვენთან სასიამოვნო ზმანებანი, ტკბილი აჩრდილი სიცრუისა. დეე, ჩვენი საქმო ბედნიერება სიცრუე იყოს და საიქიო ნეტარებაც სულელური სიზმარი აღმოჩნდეს, მაგრამ მაინც და მაინც ეს სიზმარი, ეს ოცნება ტკბილია და ღირსიც არის, რომ იგი კაცობრიობამ შეიფეროს. ჭეშმარიტების დაცვა დიაღაც სასურველია, მაგრამ იგი ყველაზედ უკეთესი-კი არ არის ამ ქვეყნად!

ბოლოს წარმოსდგა უმცროსი ვაჟი და თავ-დახრილი, მოღიმარის სახითა და ნელის ხმითა სთქვა:

— ყველაზედ უკეთესი ამ ქვეყნად სიყვარულია. იგი შეძლებას აძლევს, მონას, თავისს ბორკილი უდრტვინველად ატაროს, იგი ჰქმნის სიცრუეს

ჭეშმარიტებად და დაანათლებს ღვთიურს ბრწყინვალებასა, და რაც ღვთიურია ის ხომ ჭეშმარიტებაც არის. იგი თავისუფალია, რადგანაც ვერც ბორკილითა და ვერც ჯაჭვით ვერ დაიმონავებს ადამიანი. იგი ჭეშმარიტებაა, რადგანაც ასამართლებს სიცრუეს. იგი ანუგეშებს ათი ათასს კაცს, მტლად ედება იმათ, რომელნიც დავიწყებულ მსხვერპლსავით რჩებიან ცხოვრების საბრძოლველ ასპარეზზედ. იგი ატკბობს ტანჯულთა და წამებულთ ვაებისაგან. ყველაზედ უკეთესი ამ ქვეყნად სიყვარულია!

დარბაისლებმა ჩაიცინეს, რადგანაც ამ გვარი იდეალიზმი საშიშარს არაფერს წარმოადგენდა. მეფე-კი ჩამოვიდა ტახტიდგან და უმცროსს შვილს ხუჭუჭ-თმიანს თავზედ დაადგა ოქროს გვირგვინი, თან სთქვა:

— შენ მართალი ხარ, ყველაზედ უკეთესი ამ ქვეყნად სიყვარულიაო!

ვ. მცხეთელი

ქ. პეტროვსკი

## ბიბლიოგრაფია

—

ამ დღეებში ვენაში გერმანულ ენაზე დაისტამბა ვეებერთელა წიგნი (in 4,600 გვერდი) „Die Sprachen des Kaukasischen Stammes“ (ენები კავკასიურ ფესვისა ანუ მოდგმისა). ავტორი ამ წიგნისა არის გენერალი ფონ-ერკერტი. წინასიტყვაობა ამ გამოცემისა შედგენილია გამოჩენილის მეცნიერის ფრიდრიჰ მიულერისაგან. მთელი წიგნი შესდგება ორის ნაწილისაგან; პირველია Wörterverzeichniss (სიტყვათა აღნიშნვა) და მეორე Sprachproben und grammatische Skizzen (სიტყვათა გამომეტყველება და გრამატიკული ესკიზი). ამ წიგნში ერთი და იგივე სიტყვები და ფრაზები დალაგებულია პარალელურად ამ სახით: (ენები ლეკური): ავარული, ანდიური, ყარათაული, დიდოური, ლეკური, ვარქუნური, ყუბაჩური, ყაითაღური, აკუშური, ხურკილინური, უდური, ქურინული, რუთულური, წახურული, აღულური, თავასარანული, კუდაკური, ჭეკური (dzek), კინალური, არჩული; ენა ჩაჩნური; (ენები ჩერქეზული): აბაძეხური, ყაბარდოული, შაფსუგური; ენა აფხაზური; (ენები და კილოკავნი ქართულნი): ინგილოური ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური.

ყველა ამ ენებზე აღნიშნულია სულ 545 სიტყვა და 166 ფრაზა (წინადადება). ფრაზების შემდეგ მოყვანილია გრამატიკული ესკიზი. ამას გარდა ქართული ფრაზების წინარე ჩართულია ა) განხილვა ქართულის ენისა და გრამატიკისა, ბ) ფონეტიკა ქართულის ენისა და მისთა კილოკავთა და გ) ხე ქართლოსიანთა ენისა: ამ ხის ძირი არის ქართლოსიანთა ძველის-ძველი დედა-ენა, რომლიდგანაც უმთავრეს ღეროდ წამოვიდა აწინდელი ქართული ენა და მისი ტოტები: სვანური, მეგრულ-ლაზური და მთიელ ქართველთა კილო-კავნი: ხევსურ-თუშური და ინგილოური. ამ განყოფილების სათაურს აღნიშნულია ასრე: „მოსე ჯანაშვილის მიერ გადმოცემულ მასალიდგან“.

წინასიტყვაობაში მიულერი ამბობს: თვალს გადავავლებთ რა ამ შესანიშნავ შრომას, უკვე ვრწმუნდებით, რომ ყველა აღნიშნული ენები შეადგენენ ენათა დამოუკიდებელს და განსაკუთრებულს ჯგუფსაო. ავტორი თავისს შრომას მიუძღვნის რუსეთის ხელმწიფის კარის მინისტრს გრაფ ილარიონ ივანეს ძე ვარანცოვ-დაშკოვს და დიდ მადლობას სწირავს თავისს უმთავრესს თანამშრომელს მოსე ჯანაშვილს, ამ, მისის სიტყვით, კეთილშობილ და გულმოდგინე ქართველს.

წიგნშივე ჩართულია ეტნოგრაფიული რუკა კავკასიისა და აგრეთვე ტაბულა ზემო აღნიშნულ ხალხთა, რომელთა რიცხვი შეადგენს 2,226,370 სულს.

გამოცემა ფრიად სუფთაა და ფაქიზი, სწორედ შესაფერი გერმანთა განთქმულ მუყაითობისა.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

### I

ბ-ნო რედაქტორო, „ივერიის“ მე-237 ნომერში ამოვიკითხეთ საპასუხო წერილი ბ-ნ დოლიძის მიმართ, რომლიც „კვალი“-ს პირით დაგვითხვზიათ, რა უყავით ის სამი თუმანი, რომლიც განჯაში მყოფ ქართველთა შორის იყო შეგროვილი განსვენებულის ალექსანდრე ყაზბეგის ცხედარზედ გვირგვინის დასადებადაო. თქვენ უპასუხებთ, რომ განჯელ ქართველებისაგან და სხვათაგანაც გამოგზავნილი ფული, რომელიც „ივერიის“ რედაქციას მოუვიდა, გადაეცა განსვენებულის პატივისმცემელთაგან არჩეულ გამგეთაო.

თქვენს რედაქციაში მოსული ფული, რომელიც გვირგვინებს უნდა მოხმარებოდა, მივიღეთ სულ 251 მან. შემდეგ შემომწირველთაგან: 1) ქუთაისში შეკრებილი 26 მან., 2) ბაქოდგან—40 მან., 3) განჯიდგან—30 მან., 4) თელავიდგან—30 მან., 5) გიევიდგან 10 მან., 6) ბათუმში შეკრებილი—31 მან., 7) ოდესიდგან—25 მან., 8) მოსკოვიდგან—15 მან., და 9) კავკავიდგან—30 მან. ამას გარდა, გერმოდ გადმოგვცა კიდევ ტფილისის რკინის გზის დეპოში მოსამსახურეთაგან 24 მან. და რაფ. ნ—მის ყაზბეგისაგან 104 მან. იმ ფულიდგან, რომელიც წიგნის მბეჭდავ საზოგადოებისაგან მიეღო.

იმ კომიტეტმა, რომელიც განსვენებულის დასაფლავების გამგედ იყო შემდგარი, ბევრი ანგარიშა მოსალოდნელი ხარჯი და იმ გზას დაადგა, რომ მკირფასის გვირგვინების მაგიერობა უბრალოს გავაწყვეინოთ და დანარჩენი ფული განსვენებულის სხვა გვარ საჭიროებას მოვახმაროთ, რათა გვირგვინებს გარდა სხვაფრივაც ღირსეულად და დიდებულად დამარხულ იქმნას ჩვენგან დაუვიწყარის კაცის ცხედარიო. აი, ეს მიზეზი გახლდათ, რომ საგანგებო გვირგვინებისათვის გამოგზავნილი ფული მარტო გვირგვინებს არ მოხმარებია. ალ. ყაზბეგის განსვენებას ზემოხსენებულ ფულზედ გატილებით მეტი დასჭირდა და სრული ანგარიში ამისა, თავისს დროზედ შემოწმებული, ჩვენ ხელთაა.

ჩვენ გვგონია, „კვალი“-ს რედაქცია საჭიროდ დაინახავს ამ წერილის გადაბეჭდვას თავისის მკითხველების საცნობელად.

ვალერიან გუნია
ანდრია ღულაძე

15 ნოემბერი

—

### II

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენის გაზეთის «ივერიის» საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ტფილისში მცხოვრებს ესტატე ნიკოს ძე ჩხარტიშვილის მეუღლეს სოფიო მიხეილის ასულს, რომელმაც აღმოუჩინა შემწეობა დანჩხუთის უფასო სამკითხველოს, როგორც თავისს მხრით, ისე იმათი, რომ შეწირულებანი შეკრიბა. აი შემომწირველთა სია: სოფიო მიხეილის ასულმა ჩხარტიშვილისამ 3 მ., თეიმურაზ ცომაიამ 2 მ., ისიდორე სალაღამე 1 მ., იპოლიტე მახარაძემ 1 მ., იოსებ ლითანოვმა 1 მ., სეფე ფანჩიკიძემ 1 მ., იაგორ ჯაყელმა 2 მ., ეფთიმე ქავთარაძემ 1 მ., ემილია ჩაჩიბაძემ 1 მ., ფარსადან ჩიგოგიძემ 1 მ., წიწალოტოვმა 1 მ., პეტრე ტალახაძემ 1 მ., კოწია ჩხარტიშვილმა 2 მ, გერასიმე თიხაძემ 1 მ., ნესტორ მარჯანოვმა 1 მ., გიგო ნანეშვილმა 1., სევერიან ტყეშიძემ 1 მ., გარაპეტ ბარხუდაროვმა 1 მ., ეფრემ ბეგიჯანოვმა 3 მ., თავ. იოსებ ნიჟარაძემ 1 მ., იოსებ თევზაძემ 1 მ., მელიქ აკოფოვმა 2 მ., დავით მატინოვმა 1 მ.

სამკითხველოს გამგენი ბლაღ.-მღ. ნ. ურუშაძე და შალიკო ცინცაძე

## პეტერბურგის ბირჟა, 18 ნოემბერი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,37 | 7,40 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147¼ | 148 | — , |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — , |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 189½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99 | — , | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97¾ | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

სურსმ ვიყიდო მამული ამიერ-კავკასიაში

გაყიდვის მსურველმა თავისი პირობანი წარმოგზავნოს „ივერიის“ რედაქციაში. (3—1900—2)

კბილის ექიმი

**პ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი. (50—6.—36)

**ცხოვრება**

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბრონტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |


## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 § ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 21 და 22 დეკემბერს ამა 1894 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18, და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებული ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საეროზო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანთა სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს თავის დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანათად და აგრედვე, ბანკის თანხმობით. ვ ლი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინაობაა ამ წლის 21—22 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ის საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქნება 4 იანვარს 1895 წლისას. ბანკის წესდების მე 16 §-ის თანხმად, გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქმნება 21 დეკემბერს, სოფლის მამულებისა-კი 22 დეკემბერს.

### მეელი კატეგორიისა

ა) ქალაქის მამულები.

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორსართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 2026 მ. 91 კ., შემოსატანი გარდასახადი 306 მ. 98 კ., და სულ 2332 მ. 89 კ.

ოპოჩინინი პეტრე ალექსის ძე. სამ სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელით, შენობებით და მიწით, ზომით 313¾ ოთხკუთხი საჟენი, მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, სოლოლაკში. თავნი ვალი 15846 მ. 86 კ., შემოსატანი გარდასახადი 1225 მ., 38 კ. და სულ 17072 მ. 24 კ.

### მეელი კატეგორიისა

ბ) სოფლის მამულები

ხიმშიაშვილები: ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძე და ასულნი და ეკატერინე ბეჟანის ასული. სახნავი

და საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 653 დესეტინა, 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, აგარაკ ათნის ხევში. თავნი ვალი 3819 მ. 82 კ., შემოსატანი გარდასახადი 249 მ. 03 კ. და სულ 4068 მ. 85 კ.

ჭიჭინაძე სოფია როსტომის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 391 დესეტინა, 900 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. დიდ-შავთაში. თავნი ვალი 2546 მ. 55 კ., შემოსატანი გარდასახადი 127 მ. 18 კ. და სულ 2673 მ. 73 კ.

აბხაზი გიორგი დიმიტრის ძე. სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე, შენობებით, მიწა ზომით 2867 დესეტინა, 56 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფლებ. სადახლოს, ჩოჩკვანს, ქვემო-წოპისს, თოხლი-კილისს, არაბათალას, ფალიან-თაქიანს, გალითალას, ხუჯას, ლიალივარის საძოვრები, ხუდიბანას, არაბათალას და გულიბაგაში. თავნი ვალი 36648 მ. —კ., შემოსატანი გარდასახადი 1529 მ. 42 კ. და სულ 38177 მ. 42 კ.

ამილახვარი: ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა მარიამ ალექსანდრეს ასული. სახნავ-სათესი და სასახლკარე ადგილები, მიწა ზომით 33 დესეტინა, 320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. გრაკალში. თავნი ვალი 1303 მ. 10 კ., შემოსატანი გარდასახადი 94 მ. 35 კ. და სულ 1397 მ. 45 კ.

ფალავანდიშვილი ივანე ანტონის ძე. სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 90 დესეტინა. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. პატარა თამარაშენს, ქვათეთრსა, ოქონასა და ხიდის უბანში. თავნი ვალი 1737 მ. 48 კ., შემო-შემოსატანი გარდასახადი 184 მ. 94 კ. და სულ 1922 მ. 42 კ.

ქობულოვი: იოსებ, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი. სახნავ-სათესი-საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 823 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენ., ტფილისის გუბერნიასა და თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 8687 მ. 45 კ., შემოსატანი გარდასახადი 364 მ. 78 კ. და სულ 9052 მ. 23 კ.

თარხან-მოურავი დავით იორამის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 525 დესეტინა 876 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა და გორის მაზრაში, სოფ. ახალქალაქსა მუხაურსა და სათარხნოში. თავნი ვალი 6081 მ. 21 კ., შემოსატანი გარდასახადი 316 მ. 13 კ. და სულ 6397 მ. 34 კ.

კალატოზოვი ვასილ აბელის ძე. სახნავ-სათესი ადგილი, მიწა ზომით 37 დესეტინა, 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 1303 მ. 10 კ., შემოსატანი გარდასახადი 89 მ. 19 კ. და სულ 1392 მ. 29 კ.

ბარნაბოვისა. ანასტასია სოლომონის ასული. სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში. თავნი ვალი 434 მ. 38 კ., შემოსატანი გარდასახადი 47 მ. 92 კ. და სულ 482 მ. 30 კ.

ქარუმიძე ივანე პაატას ძე. სახნავ-სათესი მიწები, ზომით 34 დესეტ., 1320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. თორთიზაში. თავნი ვალი 868 მ. 74 კ., შემოსატანი გარდასახადი 64 მ. 97 კ. და სულ 933 მ. 71 კ.

პოლტორაცკი ალექსანდრე ეგნატეს ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, საბოსტნე ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა, 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 6340 მ. 25 კ., შემოსატანი გარდასახადი 338 მ. 93 კ. და სულ 6679 მ. 18 კ.

ჯომარჯიძე თომა იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, სამზარეულოთი და სხვადასხვა თავლებითა, ეზოთი და წყაროს წყლით, მიწა ზომით 1 დესეტინამდე, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 1811 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 83 მ. 88 კ. და სულ 1895 მ. 41.

შოტტ ლევ იპპოლიტეს ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები, მინდვრები და ტყე, მიწა ზომით 2074 დესეტინა, 420 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. ზემოხოდაშენსა, ახალდაბასა და ახშაანში. თავნი ვალი 12735 მ. 88 კ., შემოსატანი გარდასახადი 543 მ. 98 კ. და სულ 13279 მ. 86.

წერეთელი ბაგრატ მიხეილის ძე. მინდვრები და ტყე, მიწა ზომით 1020 დესეტინა, 1920 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ ზემოხოდაშენში. თავნი ვალი 8005 მ. 43 კ. შემოსატანი გარდასახადი 407 მ. 74 კ. და სულ 8413 მ. 17 კ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე, სახნავ-სათესი, საძოვარი და სასახლკარე ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა, 1860 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 5003 მ. 37 კ., შემოსატანი გარდასახადი 248 მ. 58 კ. და სულ 5251 მ. 95 კ.

ხიზანაშვილი ლუკა ბიძინას ძე და სხვანი. სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 714 დესეტინა, 1320 ოთხ კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმაში. თავნი ვალი 2466 მ. 48 კ., შემოსატანი გარდასახადი 110 მ. 76 კ. და სულ 2577 მ. 24 კ.

ავსარქისოვი ფარსადან იაკულის ძე, იარლოვი სერგო იაკულის ძე და პირო მელქისედექ ოსიფის ძე. სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი და სასახლკარე ადგილები, ზომით 623 დესეტ., 888 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 11876 მ. 13 კ., შემოსატანი გარდასახადი 506 მ. 51 კ., და სულ 12382 მ. 64 კ.

უჯრიევი იოსებ ბესარიონის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 826 დესეტინა 2384 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ მოხისში. თავნი ვალი 3971 მ. 52 კ., შემოსატანი გარდასახადი 109 მ. 90 კ. და სულ 4081 მ. 42 კ.

მეჩითოვები იაგორ, დარჩო და ნინო დარჩოს ძენი და ასული და სხვანი. სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები, ზომით 151 დესეტინა, 657 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეთში. თავნი ვალი 3197 მ. 40 კ., შემოსატანი გარდასახადი 167 მ. 14 კ. და სულ 3364 მ. 54 კ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე. სახნავ სათესი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 178 დესეტინა, 2011 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილო თხინვალში. თავნი ვალი 2740 მ. 65 კ. შემოსატანი გარდასახადი 162 მ. 90 კ. და სულ 2903 მ. 55 კ.

შალიკაშვილი ალექსანდრე რაჟდენის ძე. სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 394 დესეტინა, 620 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ სკრაში. თავნი ვალი 4661 მ. 41 კ., შემოსატანი გარდასახადი 200 მ. 48 კ. სულ 4861 მ. 89 კ.

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ

არნაუთიანები: არტემ და დავით სერგოს ძენი. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით 14 საჟენი და $2^1/_2$ ოთხ-კუთხი არშინი, მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, იარმუკაში. თავნი ვალი 2719 მ. 06 კ., შემოსატანი გარდასახადი 282 მ. 37 კ. და სულ 3001 მ. 43 კ.

მელითაური მიხეილ გეორგის ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით დი შენობებით, მიწა ზომით $81^1/_2$ ოთხკუთხი საჟ., 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ოლღას ქუჩაზე თავნი ვალი 2847 მ. 69 კ., შემოსატანი გარდასახადი 212 მ. 69 კ. და სულ 3060 მ. 38 კ.

ლიხოტინსკები: ვასილი გერასიმეს ძე, ვალენტინა, ანტონინა, ვასილი და ანასტასია ვასილის ძენი და ასულნი. სამ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით $112^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, მე-10 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, მიხეილის ხიდთან თავნი ვალი 19354 მ. 45 კ. შემოსატანი გარდასახადი 153 მ. 06 კ. და სულ 19507 მ. 51 კ.

ნაზაროვი ალექსანდრე ივანეს ძე. (აწ მირზა-აგას-ალა-მაჯი-ოღლისა). ორ-სართულიანი ქვითკირის, სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 180 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ვორონცოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 4168 მ. 08 კ., შესატანი გარდასახადი 330 მ. 74 და სულ 5507 მ. 82 კ.

ერისთავისა ნინო ალექსანდრეს ასული ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და შენობებით, მიწა ზომით 144 ოთხ-კუთხი საჟ., მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნიკოლოზის ქუჩაზე თავნი ვალი 4168 მ. 8 კ., შემოსატანი გარდასახადი 277 მ. 80 კ. და სულ 4445 მ. 88 კ.

მაშადი-აზუზარ-მოლლა-ფეიზულაოღლი. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და სამ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 ნაწილში, 1-ლ განყოფილებაში, ქ. ტფილისს, სეიდაბათში, ვარანცოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6252 მ. 10 კ., შემოსატანი გარდასახადი 412 მ. 48 კ. და სულ 664 მ. 58 კ.

კადურინი ვასილ თევდორეს ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მოწყობილობით, მიწა ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟ., მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფ., ქ. ტფილისს, ვორონცოვის ნაბერეჟნიაზე. თავნი ვალი 2917 მ. 66 კ., შემოსატანი გარდასახადი 249 მ., 38 კ. და სულ 3167 მ. 04 კ.

არნაუტიანცი გრიგოლ ოსეფას ძე-სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით 14 საჟენი და $2^1/_2$ ალაბი ოთხ-კუთხი, მე-3 ნაწილში პირველ განყოფილებაში ქ. ტფილისს, იარმუკაზე. თავნი ვალი 3843 მ. 41 კ., შემოსატანი გარდასახადი 273 მ. 59 კ. და სულ 4117 მ.

შაბუროვი გრიგოლ და სოლომონ ივანეს ძენი. 1-ლი, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, სამ-სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და ბაღი, მიწა ზომით 714 ოთხ-კუთხი საჟ ნი; 2-ე, ვენახი მარნით, მიწა ზომით: სიგრძით 63 საჟენი, სიგანით, სამხრეთით 10 საჟენი, ჩრდილოეთით 9 საჟენი, ქ. სიღნაღში. თავნი ვალი 2906 მ. 21 კ., შემოსატანი გარდასახადი 187 მ. 21 კ. და სულ 3093 მ. 41 კ.

ალელოვი იოსებ დავითის ძე. სამი თითო-სართულიანი სახლი, ფლიგელითა და ყოველივე მოწყობილობით, მიწა ზომით 91 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. გორში. თავნი ვალი 2179 მ. 66 კ., შემოსატანი გარდასახადი 163 მ. 22 კ. და სულ 2342 მ. 88 კ.

ტაბლაშვილი ნიკოლოზ პეტრეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორ-სართულიანი ფლიგელითა, მიწა ზომით დაახლოებით 40 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-7 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ვოლკოვსკის ქუჩაზედ. თავნი ვალი 741 მ. 82 კ., შემოსატანი გარდასახადი 73 მ. 21 კ. და სულ 815 მ. 03 კ.

დიასამიძე ნიკოლოზ დავითის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ანუ დუქანი, მიწა ზომით $66^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. გორში. თავნი ვალი 3392 მ. 28 კ., შემოსატანი გარდასახადი 253 მ. 34 კ. და სულ 3645 მ. 32 კ.

ანდრონიკოვი თებრონია გიორგის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით: სიგძით 25, სიგანით 15 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. სიღნაღში. თავნი ვალი 1483 მ. 62 კ., შემოსატანი გარდასახადი 118 მ. 17 კ. და სულ 1601 მ. 79 კ.

თავდგირიძე ბესარიონ გაბრიელის ძე, 2 ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ფურნითა და ბაღით, მიწა ზომით: სიგძით 51, სიგანით—48 ოთხ-კუთხი საჟენი, ქალაქ გორში. თავნი ვალი 3026 მ. 8 კ., შემოსატანი გარდასახადი 187 მ. 32 კ. და სულ 3213 მ. 40 კ.

ხანდამიროვი თევდორე აბრამის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ყოველივე მოწყობილობით, ერთ-სართულიანი ფლიგელითა, ერთ-სართულიანი ზედ-მიშენებული ოთახითა და საბოსტნე ადგილი, მიწა ზომით სულ 909 ოთხ-კუთხი საჟ., დემირბულაღის უბანში, ქ. ერევანს თავნი ვალი 19274 მ. 38 კ. შემოსატანი გარდასახადი 250 მ. 65 კ. და სულ 19525 მ. 03 კ.

ქერბალაი-ალიახპერ-ჰაჯი-კასუმ-ოღლი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, საყინულეთი, თავლითა და ბაღითა, მიწა ზომით 12366 ოთხ-კუთხი საჟენი და ორი არშინი, შაჰარის უბანში, ქ. ერევანს, სარტიპ კიუჩას ქუჩაზე. თავნი ვალი 3700 მ. 67 კ., შემოსატანი გარდასახადი 223 მ. 24 კ. და სულ 3923 მ. 91 კ.

ფირალოვი ლევან სვიმონის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და თავლითა, მიწა ზომით 113 საჟ. და 3 არშ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ახალ ნაწილში, ქ. ახალციხეში თავნი ვალი 1177 მ. 39 კ., შემოსატანი გარდასახადი 109 მ. 87 კ. და სულ 1287 მ. 25 კ.

წერეთელი მიხეილ ემილიანის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ერთ-სართულიანი ფლიგელით, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ. მე-7 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ლუარსაბის ქუჩაზე თავნი ვალი 470 მ. 96 კ., შემოსატანი გარდასახადი 74 მ. 32 კ. და სულ 545 მ. 28 კ.

ედიგაროვები: სალომე გიორგის ასული, ნიკოლოზ, ვასილ და კონსტანტინე სოლომონის ძენი, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით და სარდაფითა და ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფითვე, მიწა ზომით 41 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქალაქ ტფილისს, პატარა პოლიციის ქუჩაში. თავნი ვალი 1596 მ. 95 კ., შემოსატანი გარდასახადი 97 მ. 10 კ. და სულ 1694 მ. 05 კ.

ქანანოვისა მარიამ სტეფანეს ასული. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით 50 ოთხ-კუთხი საჟენი, მე 8 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ჩუღურეთში. თავნი ვალი 239 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 38 მ. 25 კ. და სულ 277 მ. 78 კ.

ჩიჯავაძე იგივე ქოჯავაძე იაკობ მაქსიმეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, მიწა ზომით 3 დესეტინა 1275 ოთხ-კუთხი საჟ., მე 7 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუღში. თავნი ვალი 1217 მ. 44 კ., შემოსატანი გარდასახადი 74 მ. 49 კ და სულ 1292 მ. 03 კ.

მამინოვი ანნა ზაქარას ასული და აბგარ და გაბრიელ სტეფანეს ძენი. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ერთ-სართულიანი ფლიგელითა, ყოველივე მოწყობილობით, მიწა ზომით 263 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში, სახელმწიფო ქუჩაზე. თავნი ვალი 2885 მ. 27 კ., შემოსატანი გარდასახადი 220 მ. 27 კ. და სულ 3105 მ. 54 კ.

გაბაევი იოსებ დავითის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და 2 ორ-სართულიანი ფლიგელით, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ. 1-ლ ნაწილში, 1-ლ განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ოლგას ქუჩაზე. თავნი ვალი 4946 მ. 38 კ. შემოსატანი გარდასახადი 307 მ. 41 კ. და სულ 5253 მ. 82 კ.

ბებუთოვები გიორგი და ნინო სოლომონის ძე და ასული და ფალავანდოვისა მარიამ სოლომონის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით $58^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ.; მე-4 ნაწილში, 1-ლ განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ფრანგების სასაფლაოს აღმართზე. თავნი ვალი 1673 მ. 58 კ., შემოსატანი გარდასახადი 108 მ. 51 კ. და სულ 1782 მ. 09 კ.

გულიშამბაროვები სიმონ, სტეფან, რუბენ, ვასილ და სოფიო იოსების ძენი და ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწა ზომით 110 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. გორში. თავნი ვალი 836 მ. 81 კ., შემოსატანი გარდასახადი 75 მ. 86 კ. სულ 912 მ. 67 კ.

ჩუტკერაშვილი დიმიტრი სიმონის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით სიგრძით $7^1/_2$ და სიგანით 4 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. გორში. თავნი ვალი 509 მ. 30 კ., შემოსატანი გარდასახადი 72 მ. 20 კ. და სულ 581 მ. 50 კ.

გრიგოლოვისა ეკატერინე ივანეს ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და ხეხილის ბაღი, მიწა ზომით 390 ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ავლაბარში. თავნი ვალი 509 მ. 30 კ. შემოსატანი გარდასახადი 66 მ. 63 კ. და სულ 575 მ. 93.

ჰაჯი-ბახმან-ქერბალაი-ჯაფაროღლი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-ნახევარ სართულიანი ფლიგელი ზედ-მინაშენით, მიწა ზომით 150 ოთხ-კუთხი საჟ., მე-2 ნაწილში. ქ. ბაქოში, შემახის გზაზე. თავნი ვალი 1697 მ. 65 კ., შემოსატანი გარდასახადი 131 მ. 11 კ. და სულ 1828 მ. 76 კ.